ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02-22

ქ. თბილისი 18 იანვარი, 2012 წ.

ერთის მხრივ სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისი წარმომადგენლის, სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ნინო ინწკირველის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ჯი ეს სი'' (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), მისი დირექტორის სულიკო სიმაევის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს (თანმდევი მომსახურებით) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6 თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლებით სამოქალაქო რესსტრის სააგენტოს ცენტრალურ ოფისში (აკ. წერეთლის გამზირი #67ა) მე-III სართულზე ლითონის ამომცნობი (CPV 35124000) და ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა (CPV32323500) მონტაჟით.

2.2 დეტალური ხარჯთაღრიცხვა მოცემულია ხელშეკრულების დანართ #1-ში რომელიც თანერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 10042.21 (ათიათას ორმოცდაორი ლარი და 21 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწარმოოს წერილობით;

დ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურის უფროსი ლევან დარბაიძე და მოქალაქეობის საკითთხთა კომისსის თავჯდომარე ტარიელ ყიფშიძე, ხოლო ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლაშა ბოკუჩავა.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

5.3 ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხი.

6.მიწოდების ადგილი, პირობები და ვადები

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს აკ. წერეთლის გამზ. #67ა.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში;

6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

6.4 პასუხისმგებლობა აღნიშნული დოკუმენტების დაგვიანებით მიღების შედეგად შემსყიდველისთვის წარმოქმნილი ყველა ხარჯისთვის ეკისრება მიმწოდებელს.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის ჩაბარება უნდა განხორციელდეს პუნქტი 6.1 და 6.2–ით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მხრიდან გათვალისწინებული ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მონაწილეობით.

7.3 შესყიდვის ობიექტი ჩაბარებულად ჩაითვლება თანმდევი მომსახურების დასრულების შემდგომ, მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალიწინებული მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით.

8. გარანტია

8.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ვრცელდება ერთწლიანი საგარანტიო ვადა. აღნიშნული ვადის განმავლობაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი;

8.2 შეტყობინების მიღების შემდგომ მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.
2. ანგარიშსწორების ვადა - მიღება-ჩაბარებიდან და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღე.
3. ანგარიშსწორების განხორციელებისთვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

10. ფასები

10.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები შეიძლება გადაისინჯოს და მოხდეს ფასების შეცვლა მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) საგადასახადო რეჟიმის შეცვლა;

ბ) ინფლაციის მაღალი დონე;

გ) საქონლის საბაზრო ღირებულების არსებითი ცვლილება.

ეს მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ფასის ცვლილება აჭარბებს 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. თუ მიმწოდებელი: არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

11.2. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალიწინებული წესის შესაბამისად;

11.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.4. მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

11.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.8 გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 17 თებერვლის ჩათვლით, გარდა 8.1 პუნქტისა.

12.2 წინდამდებარე ხელშეკრულების 8.1 პუნქტი მოქმედებს ამავე პუნტქტში აღნიშნული ვადით.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით

გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო სამი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4 ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. #67ა
სს ,,საქართველოს ბანკი''
BIC კოდი: BAGAGE22
ა/ა GE20BG0000000122031300
ს/კ 202307404

სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე

ნინო ინწკირველი

მიმწოდებელი:

შპს ,,ჯი ეს სი''
ქ. თბილისი, ვ. ფშაველას I-შეს. #7
სს ,,რესპუბლიკა ბანკი''
BIC კოდი: BAGAGE22
ა/ა GE60BR0000000004467741
ს/კ 211368508

შპს ,,ჯი ეს სი''-ს დირექტორი

სულიკო სიმაევი

ხარჯთაღრიცხვა

ხელშეკ. დანართი №1

შპს "GSC"
ს/კ 211368508
თბილისი, ვაჟა ფშაველას I შეს. №7
ტელ.:(995 32) 432432; 252027; 432026
ფაქსი:(995 32) 252026
ელ. ფოსტა: info@gsc.com.ge
ვებ-გვერდი: www.gsc.ge

დამკვეთი:

ტელ:

საბანკო რეკვიზიტები:
სს ბანკი "რესპუბლიკა"
კოდი REPLGE22
ა/ა GE60BR0000000004467741

დანიშნულება:
ვიდეომეთვალყურეობის სისტემის სამონტაჟო სამუშაო

№	დასახელება	მოდელი	დასახელება	მწარმოებელი	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი ლარი
1	ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა	SSC N21	ვიდეოკამერა ფერადი შიდა	Panasonic	4	369.29	1477.16
		MS3100	მიკროფონი	GSC	4	33.42	133.68
		N0440M	4 არხიანი ციფრული ვიდეოჩამწერი	nadatel	1	751.95	751.95
		ST2000VX	ვიდეოჩამწერის მყარი დისკი 2ტ	seagate	1	417.75	417.75
		PS509	კვების ბლოკი	ultima	1	90.23	90.23
		BC1015	კონექტორები	ultima	4	3.01	12.03
		10160	საკაბელო არხი	efapel	30	3.59	107.78
		VCRX0150	კაბელი კომბინირებული	RAMCRO	200	1.20	240.62
		მონტაჟი					501.30
		ჯამი					3732.51
2	ლითონის ამომცნობი	CEIA Classic	მეტალოდეტექტორი	CEIA	1	6309.70	6309.70
		ჯამი					10042.21